

2023

შპს „თერმოინდუსტრია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3-6
--------------------------------------	-----

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა.....	11
2. მომზადების საფუძველი	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები.....	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	18
5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	18
6. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	19
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	20
8. მარაგები	20
9. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება, წმინდა	20
10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....	21
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	22
13. სასესხო ვალდებულებები	23
14. შემოსავალი	24
15. რეალიზაციის თვითღირებულება.....	24
16. პერსონალის შენახვის ხარჯები.....	24
17. სხვა საერთო ხარჯები.....	24
18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა.....	25
19. ფინანსური ხარჯი, წმინდა	25
20. საკუროსო სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა.....	25
21. შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება.....	25
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	28

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თერმოინდუსტრია“-ს დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „თერმოინდუსტრია“-ს (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 2,840,932 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ძირითადი საშუალებების რეესტრი, რომლის მეშვეობით მოვახერხებდით შესაბამისი ისტორიული ღირებულებების, დაგროვილი ცვეთისა და პერიოდების ცვეთის ხარჯის შემოწმებასა, გადათვლას და დადასტურებას, ჩვენ ვერც ალტერნატიული გზებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ზემოთმოცემულ თანხებთან მიმართებაში, შედეგად ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირების შეტანა/ა აღნიშნულ ძირითადი საშუალებების თანხებთან მიმართებაში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

შეწყვეტილი ოპერაციებიდან მოგება ჯგუფის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 1,318,826 ლარის ოდენობის. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაბამისი დოკუმენტაცია, აღნიშნული თანხის ღირებულებულების სისწორის დასადასტურებლად, ჩვენ ვერც ალტერნატიული გზებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ზემოთმოცემულ თანხებთან მიმართებაში. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირების შეტანა შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგების თანხებთან მიმართებაში მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ასევე ფინანსური მდგომარეობის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.

ჯგუფმა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობისათვის მოახდინა მარაგების გაუფასურების რეზერვის გადათვლა 522,410 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა შესაბამისი რწმუნება იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის აღნიშნული რეზერვი. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირების შეტანა წინა პერიოდების მარაგების გაუფასურების რეზერვებში მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფინანსური მდგომარეობის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან *ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს* (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - შესადარისი ინფორმაციის შესწორება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-5 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება მენეჯმენტის მიერ გამოქვეყნებულ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოება

2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც 2023 წლის 14 დეკემბერს გამოსცა მოდიფიცირებული მოსაზრება ძირითად საშუალებებთან მიმართებაში შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოუპოვებლობის გამო.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე. თუ, სხვა ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩენთ, რომ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგება არსებითად მცდარია, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც

მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხდენილია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

30 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

- თანხედენილია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

30 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს „თერმოინდუსტრია“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
			*გადაანგარიშებული	*გადაანგარიშებული
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	990,801	3,381,160	1,204,018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	4,372,662	1,912,424	595,027
მარაგები	8	11,952,524	11,483,638	8,313,495
აქტივის დაბრუნების უფლება	8	470,667	421,675	311,892
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-	40,336
საგადასახადო აქტივი, წმინდა	9	288,242	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		18,074,896	17,198,897	10,464,768
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	2,840,932	1,071,850	1,020,108
არამატერიალური აქტივები		1,989	3,919	4,612
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,842,921	1,075,769	1,024,720
სულ აქტივები		20,917,817	18,274,666	11,489,488
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		948,825	948,825	948,825
გაუნაწილებელი მოგება		10,948,825	8,913,994	5,684,937
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი		11,897,650	9,862,819	6,633,762
არამაკონტროლებელი წილი		-	1,106,949	816,774
სულ კაპიტალი		11,897,650	10,969,768	7,450,536
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	3,271,512	3,128,309	1,517,356
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	1,275,951	1,080,164	891,516
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	9	-	199,464	-
სასესხო ვალდებულებები	13	3,124,509	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,671,972	4,407,937	2,408,872
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულებები	13	1,348,195	2,896,961	1,630,080
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,348,195	2,896,961	1,630,080
სულ ვალდებულებები		9,020,167	7,304,898	4,038,952
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		20,917,817	18,274,666	11,489,488

*ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ლევან თურმანიძე

კონსტანტინე კაკულია

11-29 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თერმოინდუსტრია“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022 გადაანგარიშებული	31 დეკემბერი, 2021 გადაანგარიშებული
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	990,801	3,381,160	1,204,018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	4,372,662	1,912,424	595,027
მარაგები	8	11,952,524	11,483,638	8,313,495
აქტივის დაბრუნების უფლება	8	470,667	421,675	311,892
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-	40,336
საგადასახადო აქტივი, წმინდა	9	288,242	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		18,074,896	17,198,897	10,464,768
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	2,840,932	1,071,850	1,020,108
არამატერიალური აქტივები		1,989	3,919	4,612
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,842,921	1,075,769	1,024,720
სულ აქტივები		20,917,817	18,274,666	11,489,488
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		948,825	948,825	948,825
გაუნაწილებელი მოგება		10,948,825	8,913,994	5,684,937
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი		11,897,650	9,862,819	6,633,762
არამაკონტროლებელი წილი		-	1,106,949	816,774
სულ კაპიტალი		11,897,650	10,969,768	7,450,536
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	3,271,512	3,128,309	1,517,356
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	1,275,951	1,080,164	891,516
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	9	-	199,464	-
სასესხო ვალდებულებები	13	3,124,509	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,671,972	4,407,937	2,408,872
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულებები	13	1,348,195	2,896,961	1,630,080
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,348,195	2,896,961	1,630,080
სულ ვალდებულებები		9,020,167	7,304,898	4,038,952
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		20,917,817	18,274,666	11,489,488

*ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი

ლევან თურმანიძე

ფინანსური დირექტორი

კონსტანტინე კაკულია

11-29 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თერმოინდუსტრია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022 *გადაანგარიშებული
შემოსავალი	14	31,255,594	34,480,228
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(21,457,688)	(23,189,333)
საერთო მოგება		9,797,906	11,290,895
კომერციული ხარჯები		(147,708)	(167,864)
პერსონალის შენახვის ხარჯები	16	(3,600,409)	(3,261,914)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		(295,046)	(348,552)
სხვა საერთო ხარჯები	17	(2,530,590)	(2,011,421)
საოპერაციო მოგება		3,224,153	5,501,144
შემოსავალი დივიდენდებიდან		264,500	-
ფინანსური ხარჯი, წმინდა	19	(323,481)	(197,170)
საკუროსო სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა	20	(180,092)	336,295
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	18	436,406	293,345
მოგება დაბეგვრამდე		3,421,486	5,933,614
მოგების გადასახადის ხარჯი		(334,365)	(362,200)
წლის მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		3,087,121	5,571,414
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	21	1,318,826	-
წლის წმინდა მოგება		4,405,947	5,571,414
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,405,947	5,571,414
წლის მთლიანი სრული შემოსავალი განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		3,929,567	4,965,899
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		476,380	605,515
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,405,947	5,571,414

*ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ლევან თურმანიძე

კონსტანტინე კაკულია

11-29 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თერმოინდუსტრია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022 გადაბედი
შემოსავალი	14	31,255,594	34,480,228
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(21,457,688)	(23,189,333)
საერთო მოგება		9,797,906	11,290,895
კომერციული ხარჯები		(147,708)	(167,864)
პერსონალის შენახვის ხარჯები	16	(3,600,409)	(3,261,914)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		(295,046)	(348,552)
სხვა საერთო ხარჯები	17	(2,530,590)	(2,011,421)
საოპერაციო მოგება		3,224,153	5,501,144
შემოსავალი დივიდენდებიდან		264,500	-
ფინანსური ხარჯი, წმინდა	19	(323,481)	(197,170)
საკუთრო სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა	20	(180,092)	336,295
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	18	436,406	293,345
მოგება დაბეგვრამდე		3,421,486	5,933,614
მოგების გადასახადის ხარჯი		(334,365)	(362,200)
წლის მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		3,087,121	5,571,414
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	21	1,318,826	-
წლის წმინდა მოგება		4,405,947	5,571,414
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,405,947	5,571,414
წლის მთლიანი სრული შემოსავალი განკუთვნილი:			
შ მოხელის საწარმოს მფლობელთათვის		3,929,567	4,965,899
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		476,380	605,515
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,405,947	5,571,414

წარმოდგენილი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი

ლევან თურმანიძე

ფინანსური დირექტორი

კონსტანტინე კაკულია

შპს „თერმოინდუსტრია“
 კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ შრომელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	948,825	5,684,937	6,633,762	816,774	7,450,536
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,965,899	4,965,899	605,515	5,571,414
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,736,842)	(1,736,842)	(315,340)	(2,052,182)
2022 წლის 31 დეკემბერი	948,825	8,913,994	9,862,819	1,106,949	10,969,768
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,929,567	3,929,567	476,380	4,405,947
შვილობილი კომპანიის გასვლა	-	-	-	(1,583,329)	(1,583,329)
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,894,736)	(1,894,736)	-	(1,894,736)
2023 წლის 31 დეკემბერი	948,825	10,948,825	11,897,650	-	11,897,650

ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 მუხვებში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი ფინანსური დირექტორი

ლევან თურმანიძე კონსტანტინე კაკულია

შპს „თერმოინდუსტრია“
კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართული ლარი). თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შპს „თერმოინდუსტრია“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022 *გადაანგარიშებული
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფული		35,998,927	39,796,100
მომწოდებლებზე გადახდილი ფული		(26,689,529)	(28,103,915)
გადახდილი შრომის ანაზღაურება		(3,435,440)	(2,567,499)
გადახდილი გადასახადები		(5,046,910)	(5,798,277)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები განგრძობითი ოპერაციებიდან		827,048	3,326,409
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან		324,837	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		1,151,885	3,326,409
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები		(2,124,870)	(423,960)
მიღებული დივიდენდები		264,500	-
შვილობილი კომპანიის რეალიზაციიდან მიღებული თანხები		381,650	-
საინვესტიციო გამოყენებული მიღებული წმინდა ფულადი სახსრები განგრძობითი ოპერაციებიდან		(1,478,720)	(423,960)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან		(3,235,506)	-
სულ საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,714,226)	(423,960)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება	13	1,674,911	1,667,738
გადახდილი სესხის ძირი	13	(185,496)	(12,109)
სესხზე დარიცხული პროცენტის გადახდა	13	(281,606)	(175,103)
გადახდილი დივიდენდები		(1,894,736)	(2,052,182)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები განგრძობითი ოპერაციებიდან		(686,927)	(571,656)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან		1,952,610	-
სულ საფინანსო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი სახსრები		1,265,683	(571,656)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (შემცირება)		(2,296,658)	2,330,793
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	20	(93,701)	(153,651)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6	3,381,160	1,204,018
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	6	990,801	3,381,160

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი
ლევან თურმანიძე

ფინანსური დირექტორი
კონსტანტინე კაკულია

11-29 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თერმოინდუსტრია“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022 გადაანგარიშებული
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფული		35.998,927	39.796.100
მომწოდებლებზე გადახდილი ფული		(26.689.529)	(28.103.915)
გადახდილი შრომის ანაზღაურება		(3.435,440)	(2.567,499)
გადახდილი გადასახადები		(5,046,910)	(5,798,277)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები განგრძობითი ოპერაციებიდან		827,048	3,326,409
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან		324.837	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		1,151,885	3,326,409
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები		(2,124.870)	(423,960)
მიღებული დივიდენდები		264,500	-
შვილობილი კომპანიის რეალიზაციიდან მიღებული თანხები		381,650	-
საინვესტიციო გამოყენებული მიღებული წმინდა ფულადი სახსრები განგრძობითი ოპერაციებიდან		(1,478,720)	(423,960)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან		(3,235.506)	-
სულ საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,714,226)	(423,960)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება	13	1.674,911	1,667,738
გადახდილი სესხის ძირი	13	(185,496)	(12.109)
სესხზე დარიცხული პროცენტის გადახდა	13	(281,606)	(175.103)
გადახდილი დივიდენდები		(1,894,736)	(2,052,182)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები განგრძობითი ოპერაციებიდან		(686,927)	(571,656)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან		1.952.610	-
სულ საფინანსო საქმიანობიდან მიღებული/ (გამოყენებული) ფულადი სახსრები		1,265,683	(571,656)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (შემცირება)		(2,296,658)	2,330,793
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა			
ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	20	(93.701)	(153.651)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6	3,381,160	1,204,018
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	6	990,801	3,381,160

* ზოგჯერ ორივე წელი შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია ტე-5 მენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

დამტკიცებულია გამოს.შვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი
ლევან თურმანიძე



ფინანსური დირექტორი
კონსტანტინე კაკულია

11-29 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თერმოინდუსტრია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ძირითადი საკმეოანობა

(ა) ჯგუფი და მისი ოპერაციები

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს თერმოინდუსტრიისა (შემდგომში - „მშობელი კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანია შპს ჰელიოსთვის (შემდგომში ერთობლივად - „ჯგუფი“) 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის. შპს „თერმოინდუსტრია“ (ს.კ.: 445411484) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი რეგისტრაციის თარიღია: 15/06/2012. კომპანიის ოფიციალური მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ბოხუას ქუჩა, № 1.

შპს „ჰელიოს“ (შვილობილი კომპანია, ს.კ.: 402064635) ასევე არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი რეგისტრაციის თარიღია: 15/09/2017. კომპანიის ოფიციალური მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, კოსმონავტების სანაპირო, № 518.

შპს „თერმოინდუსტრია“ ფლობდა შპს „ჰელიოს“ მთლიანი წილის 70%-ს მისი დაფუძნების თარიღიდან 2023 წლის 22 სექტემბრამდე, აღნიშნულ თარიღში შპს „თერმოინდუსტრიამ“ მოახდინა შპს „ჰელიოს“ წილის სრულად რეალიზება.

თერმოინდუსტრიის მფლობელობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- 45% - დმიტრო შტეინგაუზი (უკრაინა);
- 45% - ნატალია ბარინოვა (უკრაინა);
- 10% - ლევან თურმანიძე (61004003603, საქართველო).

(ბ) ბიზნეს გარემო

ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის განაცხადი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2023 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

ჯგუფის საოპერაციო და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ქართული ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

(დ) ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უახლოეს მომავალში. შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. ჯგუფის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება - ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან, (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯში.

ცვეთა - აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს საანგარიშო თანხას, რომელიც შესაძლოა მოცემული დროისთვის მიიღოს ჯგუფმა აქტივის რეალიზაციიდან, მინუს რეალიზაციის საორიენტაციო დანახარჯები,

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები (გაგრძელება)

თუ აქტივი უკვე მოძველებულია და სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში იმყოფება. აქტივის ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მსს ფასს-ის 17.20-ის შესაბამისად, აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა არ წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივი მოცდენილია, ან გამოსულია აქტიური მოხმარებიდან, თუ აქტივზე სრულად არ არის დარიცხული ცვეთა. თუმცა, პრაქტიკაში გამოყენებული ცვეთის მეთოდების შესაბამისად, ცვეთის ხარჯი შეიძლება ნული იყოს, თუ აქტივი არ მონაწილეობს წარმოების პროცესში.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთებით.

ჯგუფი	ცვეთის განაკვეთი
შენობა-ნაგებობები	5 %
მოწყობილობები და დანადგარები	8-10 %
საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	8-10 %
სატრანსპორტო საშუალებები	10 %

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

ჯგუფი აღრიცხავს შვილობილ საწარმოში ინვესტიციას ამ ინვესტიციის საწყისი ღირებულებით სანამ არ მოხდება ინვესტიციის აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. შვილობილ საწარმოში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშო თარიღისთვის, იმისათვის, რათა განისაზღვროს არის თუ არა რაიმე მინიშნება გაუფასურებაზე. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, აქტივის ამოღებადი თანხები დგინდება. გაუფასურების ზარალი აღიარდება მაშინ, როდესაც შვილობილ ჯგუფში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება აჭარბებს ამოღებად თანხას. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებას ან ზარალში.

ჯგუფი იკონსოლიდირებს შვილობილ კომპანიას.

იჯარა

ჯგუფი როგორც მეიჯარე - ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა მსს ფასს-ის გამოყენებით მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება, როგორც ოპერაციული იჯარა.

იჯარა კლასიფიცირდება იჯარის წამოწყების თარიღისთვის, ხოლო ხელახლა შეფასდება - მხოლოდ იჯარის (საიჯარო ხელშეკრულების) მოდიფიკაციის შემთხვევაში სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები (მაგალითად, საიჯარო აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების), ან სხვა გარემოებების შეცვლა (მაგალითად, მოიჯარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა) არ იწვევს იჯარის ხელახალი კლასიფიკაციის აუცილებლობას მისი აღრიცხვის მიზნებისათვის.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე - ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, ჯგუფმა უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარა განიშარტება, როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ ამ განმარტების გამოსაყენებლად ჯგუფმა უნდა

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის პრინციპები (გაგრძელება)

შეაფასოს: ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის. ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. ჯგუფი განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება - იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად. მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის პრინციპები (გაგრძელება)**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება გარიგების ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვის თანხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 -365 დღე	1 წელზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	1%	5%	20%	50%	100%	100%

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველაწარმოებული დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები).

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახდო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახდო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახდო შეღავათის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შებენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტის სესხებს მიესადაგება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულებს. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა გამჟღავნდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა გამჟღავნდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იზიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფში ეკონომიკური სარგებლის შემოძინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები (გაგრძელება)

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

იჯარა

საოპერაციო იჯარა- ჯგუფი როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმოდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ჯგუფის მფლობელობაში არსებული ქონება, რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ღირებულების გაზრდას, ან ორივე მიზანს ერთად, და ჯგუფის მიერ არ გამოიყენება საკუთარი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, შემდეგ კი ხდება მისი ხელახლა შეფასება სამართლიანი ღირებულებით, რათა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული საბაზრო პირობები. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რა ფასადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ქონების გაყიდვა ჩვეულებრივი გარიგებით, გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს მსგავსი ქონების ღირებულება აქტიურ ბაზარზე, რომელიც მდებარეობს იგივე ადგილას იგივე პირობებით. ჯგუფის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება ჯგუფის შიდა ექსპერტის ან დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, რომელთაც აქვთ შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება. გამოუმუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წლის მოგება-ზარალში, შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან წარმოქმნილი შემოსულობები და ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის

მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი - საკურსო სხვაობა. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 USD/GEL	2.6894	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.9753	2.8844	3.5040

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების გაუფასურება ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარლისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების მიმდინარე ვადები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფი რეგულარულად გადახედავს სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთებს გაუფასურებასთან მიმართებაში. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, გათვალისწინებული რეზერვი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზეა დამოკიდებული, რომელიც მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობიდან გამომდინარეობს, თუ საკრედიტო რისკი წარმოქმნის შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაიზრდება. თუ ფინანსური აქტივი განიმარტება როგორც შეძენილი ან შექმნილი, კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივი, სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვი აქტივის საექსპლუატაციო ვადაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზეა დამოკიდებული. ფულადი მოთხოვნების რეზერვის საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 201,649 ლარს (2022 წელს 103,982 ლარს, ხოლო 2021 წელს 95,457 ლარს).

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

ჯგუფის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომის იდენტიფიცირება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ნაშთების გადახედვა.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ცვლილებების ეფექტი 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე

	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(512,571)	(567,593)	(1,080,164)
აქტივის დაბრუნების უფლება	-	421,675	421,675
გაუნაწილებელი მოგება	9,059,912	(145,918)	8,913,994

შპს „თერმოინდუსტრია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება (გაგრძელება)

ცვლილებების ეფექტი 2022 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე:

	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
შემოსავალი	34,636,814	(156,586)	34,480,228
რეალიზაციის თვითღირებულება	(23,299,116)	109,783	(23,189,333)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	1,441,271	(1,147,926)	293,345
სხვა საერთო ხარჯები	(2,823,052)	811,631	(2,011,421)
საკუროსო სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა	-	336,295	336,295

ცვლილებების ეფექტი 2022 წლის ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე:

	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	3,432,619	(106,210)	3,326,409
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(451,734)	27,774	(423,960)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები	(672,005)	100,349	(571,656)
საკუროსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(131,738)	(21,913)	(153,651)

ცვლილებების ეფექტი 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე:

	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(480,509)	(411,007)	(891,516)
აქტივის დაბრუნების უფლება	-	311,892	311,892
გაუნაწილებელი მოგება	5,784,052	(99,115)	5,684,937

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული საბანკო ანგარიშებზე	968,002	3,365,648	1,181,611
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	22,799	15,512	22,407
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	990,801	3,381,160	1,204,018

შპს „თერმოინდუსტრია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური აქტივები:			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,371,964	1,125,085	526,908
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(201,649)	(103,982)	(95,457)
ნეტო სავაჭრო მოთხოვნები	1,170,315	1,021,103	431,451
მოთხოვნა წილის გაყიდვიდან	2,351,746	-	-
სულ ფინანსური აქტივები	3,522,061	1,021,103	431,451
არაფინანსური აქტივები:			
გადახდილი ავანსები	850,601	891,321	163,576
სულ არაფინანსური აქტივები	850,601	891,321	163,576
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,372,662	1,912,424	595,027

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებებთან. სავაჭრო მოთხოვნების საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022	2021
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	103,982	95,457	-
წლის განმავლობაში რეზერვის ზრდა	97,667	8,525	95,457
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	201,649	103,982	95,457

8. მარაგები

ჯგუფის მარაგები 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გასაყიდად გამიზნული მარაგები	12,456,861	11,463,555	8,297,744
საწვავი	7,061	9,071	4,739
სხვა მარაგები	11,012	11,012	11,012
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(522,410)	-	-
სულ მარაგები	11,952,524	11,483,638	8,313,495

ჯგუფის სასაქონლო მატერიალური მარაგები არ არის დატვირთული უზრუნველყოფად მესამე პირის სასარგებლოდ.

9. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება, წმინდა

ჯგუფის საგადასახადო აქტივი/ვალდებულება 2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება: ქონების გადასახადისაგან, საშემოსავლო გადასახადისაგან და გადასახდელი/გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საგადასახადო აქტივი შეადგენს 288,242 ლარს, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნია საგადასახადო დავალიანება 199,464 ლარის ოდენობით, 2021 წლის 31 დეკემბერს კი საგადასახადო დავალიანება 0 ლარის ოდენობით.

შპს „თერმოინდუსტრია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ღარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ღირებულება	შენიშნა- ნაგებობები	მოწყობილობები და დანადგარები	აღჭურვილობა და აგეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	ჯამი
31 დეკემბერი, 2021	583,544	74,882	452,646	557,318	-	1,668,390
შემოსვლა	20,220	3,263	100,562	333,787	-	457,832
გასვლა	-	(1,072)	(22,751)	(57,502)	-	(81,325)
31 დეკემბერი, 2022	603,764	77,073	530,457	833,603	-	2,044,897
შემოსვლა	-	433,698	151,660	123,538	1,415,974	2,124,870
გასვლა	-	-	(6,940)	-	-	(6,940)
შვილობილის გაყიდვიდან გასული აქტივი	-	(2,282)	(60,029)	(100,051)	-	(162,362)
31 დეკემბერი, 2023	603,764	508,489	615,148	857,090	1,415,974	4,000,465

დაგროვილი ცვლადი

31 დეკემბერი, 2021	181,477	42,289	253,086	171,430	-	648,282
წლის ცვლილების ხარჯი	93,378	9,242	74,621	185,153	-	362,394
გასვლა	-	(618)	(11,215)	(25,796)	-	(37,629)
31 დეკემბერი, 2022	274,855	50,913	316,492	330,787	-	973,047
წლის ცვლილების ხარჯი	33,072	90,403	50,467	86,157	34,519	294,618
გასვლა	-	-	(3,852)	-	-	(3,852)
შვილობილის გაყიდვიდან ცვლილების ელიმინაცია	(965)	-	(19,036)	(84,279)	-	(104,280)
31 დეკემბერი, 2023	306,962	141,316	344,071	332,665	34,519	1,159,533

წმინდა საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი, 2021	402,067	32,593	199,560	385,888	-	1,020,108
31 დეკემბერი, 2022	328,909	26,160	213,965	502,816	-	1,071,850
31 დეკემბერი, 2023	296,802	367,173	271,077	524,425	1,381,455	2,840,932

შპს „თერმოინდუსტრია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკის უფლებით საბანკო სესხის უზრუნველსაყოფად.

2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ბალანსზე არსებული სრულად გაცვეტილი ძირითადი საშუალებების ღირებულებაა შესაბამისად 607,771 ლარი, 554,275 ლარი და 316,981 ლარი.

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამები, რომელთა საბალანსო ღირებულება 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 1,989 ლარი, 3,919 ლარი და 4,612 ლარი.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,929,811	3,087,251	1,465,649
მიღებული ავანსები	341,701	41,058	51,707
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,271,512	3,128,309	1,517,356

12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება	620,238	567,593	411,007
საგარტო მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულება	608,558	499,414	473,721
სხვა	47,155	13,157	6,788
სულ სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,275,951	1,080,164	891,516

შპს „თერმოინდუსტრია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. სასესო ვალდებულებები

სასესო ვალდებულებები 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მსესხეული	გაფრის თარიღი	დაფარვის თარიღი	პროცენტი	ვალუტა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საქართველოს ბანკი - LND8699573	19-ოქტ-2022	19-ოქტ-2027	NBG+3%>14%	ლარი	556,276	680,641	-
საქართველოს ბანკი - LND9565706	21-აგვ-2023	21-აგვ-2028	NBG+2.25%>12.5%	ლარი	1,202,992	-	-
საქართველოს ბანკი - LND5334678	12-მაი-2018	11-მაი-2024	7%+Libor Rate 6 month>7%	აშშ დოლარი	1,350,160	1,351,000	929,280
საქართველოს ბანკი - LND6615417	11-ოქტ-2020	2-სექ-2024	6%+Libor Rate 6 month>6%	ევრო	896,747	865,320	700,800
ლევან თურმანიძე # 0/08-23TH	10-აგვ-2023	29-თებ-2024	5%	ლარი	107,030	-	-
ლევან თურმანიძე # 10/08-2023TJII	10-აგვ-2023	29-თებ-2024	5%	აშშ დოლარი	359,499	-	-
სულ სასესო ვალდებულებები, მათ შორის					4,472,704	2,896,961	1,630,080
ძირი					4,394,655	2,879,987	1,630,080
პროცენტი					78,049	16,974	-

ბანკიდან აღებული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის უძრავი ქონებით.
სესხის აღების ძირითად მიზანს წარმოადგენს იჯარით აღებული საოფისე ფართის კეთილმოწყობა.
ქვემოთ წარმოდგენილია მიღებული სესხების მოძრაობა 2023 და 2022 წლების განმავლობაში:

სესხების მოძრაობა	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	2,896,961	1,630,080
სესხის მიღება	1,674,911	1,667,738
გადახდილი ძირი	(185,496)	(12,109)
საპროცენტო ხარჯი	337,253	197,505
გადახდილი პროცენტი	(281,606)	(175,103)
მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	30,681	(411,150)
31 დეკემბრის მდგომარეობით	4,472,704	2,896,961

შპს „თერმოინდუსტრია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. შემოსავალი

შემოსავალი 2023 და 2022 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	31,110,424	34,123,200
შემოსავალი მომსახურებიდან	145,170	357,028
სულ შემოსავალი	31,255,594	34,480,228

15. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულების არსებითი ნაწილი 2023 და 2022 წლებისთვის ძირითადად წარმოადგენს რეალიზებულ პროდუქციის ჩამოწერის ხარჯს.

	2023	2022
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	21,437,735	23,097,385
სამონტაჟო მომსახურების ხარჯები	19,953	91,948
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	21,457,688	23,189,333

16. პერსონალის შენახვის ხარჯები

ჯგუფის პერსონალის ხარჯები 2023 და 2022 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	3,534,464	3,201,489
ჯანმრთელობის დაზღვევა	20,557	18,220
პერსონალის სხვა სარგებელი	45,388	42,205
სულ პერსონალის შენახვის ხარჯები	3,600,409	3,261,914

17. სხვა საერთო ხარჯები

ჯგუფის სხვა საერთო ხარჯები 2023 და 2022 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
იჯარის ხარჯები	1,110,537	1,185,951
მარაგის გაუფასურების ხარჯი	522,410	-
ბანკის საკომისიო	134,132	167,053
საგარანტიო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	125,742	130,524
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	97,667	8,525
საწვავის ხარჯი	80,791	111,456
კომუნალური ხარჯები	72,038	92,726
სამეურნეო ხარჯი	55,118	55,937
წარმომადგენლობითი ხარჯი	47,225	30,119
თანამშრომლების გადამზადების ხარჯი	42,569	81,251
პროგრამული მომსახურება	27,394	10,869
მივლინების ხარჯი	23,791	13,386
ქონების გადასახადი	16,510	5,262
ქონების დაზღვევის ხარჯი	16,008	17,310
იურიდიული მომსახურება	13,018	21,679
ტრანსპორტირების ხარჯები	11,114	13,591
დაცვის ხარჯი	5,370	11,175
საკანცელარიო ხარჯები	2,169	13,599
სხვა	126,987	41,008
სულ სხვა საერთო	2,530,590	2,011,421

შპს „თერმოინდუსტრია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 2023 და 2022 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
მომწოდებლისგან მიღებული კრედიტ ნოტა	384,504	332,407
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	51,902	(39,062)
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (წმინდა)	436,406	293,345

19. ფინანსური ხარჯი, წმინდა

წმინდა ფინანსური ხარჯი 2023 და 2022 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(337,253)	(197,505)
სადეპოზიტო ანგარიშზე დარიცხული პროცენტი	13,772	335
სულ ფინანსური ხარჯი, წმინდა	(323,481)	(197,170)

20. საკურსო სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა

საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა მოგება/(ზარალი) 2023 და 2022 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით.

	2023	2022
ფული და მისი ეკვივალენტები	(93,701)	(153,651)
მიღებული სესხები	(30,681)	411,150
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(25,029)	84,040
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(30,681)	(5,244)
სულ საკურსო სხვაობით წარმოქმნილი მოგება/(ზარალი), წმინდა	(180,092)	336,295

21. შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება

შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება 2023 და 2022 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით.

	2023	2022
წილის რეალიზაციიდან მიღებული მოგება	207,272	-
შვილობილი კომპანის პერიოდის შედეგის მშობელ საწარმოზე მისაკუთნებელი წილი	1,111,554	-
სულ შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება	1,318,826	-

ფულადი ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან	324,837	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან	(3,235,506)	-
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან	1,952,610	-

შპს „თერმოინდუსტრია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. შეწყვეტილი ოპერაციებიდან მირებული მოგება (გაგრძელება)

წმინდა აქტივები შვილობილი კომპანიის გასვლის თარიღში წარმოდგენილია შემდეგი სახით.

22 სექტემბერი, 2023

მიმდინარე აქტივები	
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,173,329
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,360,055
მარაგები	685,703
სულ მიმდინარე აქტივები	4,219,087
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	51,815
არამატერიალური აქტივები	2,702
გრძელვადიანი ინვესტიციები	2,507,176
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,561,693
სულ აქტივები	6,780,780
მიმდინარე ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	70,747
საგადასახადო ვალდებულებები	31,555
სასესხო ვალდებულებები	237,137
სულ მიმდინარე ვალდებულებები	339,439
გრძელვადიანი ვალდებულებები	
სასესხო ვალდებულებები	2,335,197
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2,335,197
სულ ვალდებულებები	2,674,636
წილის რეალიზაციის მომენტში არსებული ნეტო აქტივები	4,106,144
წილის რეალიზაციის მომენტში არსებული არამაკონტროლებელი წილი	(1,583,329)
წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები	2,730,087
წილის რეალიზაციიდან მიღებული მოგება	207,272

შპს „თერმოინდუსტრია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება (გაგრძელება)

შეწყვეტილი ოპერაციებიდან შვილობილი კომპანიის პერიოდის შედეგის მშობელ საწარმოზე მისაკუთვნებელი წილი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	22-სექ-2023	2022
შემოსავალი	8,048,707	-
ამონაგების თვითღირებულება	(5,709,014)	-
საერთო მოგება	2,339,693	-
კომერციული ხარჯები	(9,862)	-
პერსონალის შენახვის ხარჯები	(392,732)	-
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(20,260)	-
სხვა საერთო ხარჯები	(130,960)	-
საოპერაციო მოგება	1,785,879	-
ფინანსური შემოსავლები და ხარჯები	(70,342)	-
საკუთრო სხვაობით მიღებული (მოგება)/ზარალი, წმინდა	(97,072)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	3,316	-
მოგება დაბეგვრამდე	1,621,781	-
მოგების გადასახადის ხარჯი	(33,847)	-
წლის მოგება	1,587,934	-
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	1,587,934	-
მათ შორის		
შვილობილი კომპანიის პერიოდის შედეგის მშობელ საწარმოზე	1,111,554	-
მისაკუთვნებელი წილი		
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	476,380	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	1,587,934	-

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია განყოფილება 33 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

შპს „თერმოინდუსტრია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	182,868	-	-
მიღებული სესხები	466,528	-	-

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2023	2022
გაყიდვები	4,095,821	-
შემოსავალი დივიდენდებიდან	264,500	-
შესყიდვები	684,426	1,069,422
გადახდილი დივიდენდი	1,894,737	2,052,182

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოებში:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება და სხვა ბენეფიტები	573,123	173,407

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ მფლობელებზე გასცა დივიდენდი ჯამური ღირებულებით 852,632 ლარი.

ასევე, კომპანიამ კომერციული ბანკისგან აიღო სესხი ჯამური ღირებულებით 1,565,000 ლარი და დაფარა 259,624 ლარის სესხი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს „თერმოინდუსტრია“

მმართველობითი ანგარიშგება 2023

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ღარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შპს თერმოინდუსტრია

მმართველობის ანგარიშგება (ჯგუფი)

2023 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1. ჯგუფის ისტორია და საქმიანობა	3
2. ჯგუფის განვითარების გეგმები	3
3. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების შესახებ 2023 წლისთვის	4
4. რისკ ფაქტორები	4
5. სოციალური და დაქირავებულებთან დაკავშირებული საკითხები	5
6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	6

ჯგუფის ისტორია და საქმიანობა

ჯგუფი 2012 წლიდან ოპერირებს ბაზარზე გათბობის, გაგრილების, ვენტილაციის და წყალმომარაგების სისტემების სფეროში. პროდუქციის ფართო ასორტიმენტით ჯგუფი სტაბილურად ლიდერობს ბაზარზე. შპს თერმოინდუსტრია 2012 წელს დაარსდა, იგი ITALTHERM-ის ექსკლუზიური დილერია საქართველოში.

ჯგუფის უმთავრესი ამოცანაა მომხმარებელი მრავალფეროვანი არჩევანითა და უმაღლესი სტანდარტის მომსახურებით უზრუნველყოს. სწორედ ამიტომ, ჯგუფი თანამშრომლობს მომწოდებლებთან, რომელთა პროდუქცია სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და ამავედროულად, ადაპტირებულია საქართველოში ექსპლუატაციისათვის. სპეციფიური დაკვეთის შემთხვევაში, პარტნიორების მხარდაჭერით, უმოკლეს ვადებში ხდება ინდივიდუალური მოთხოვნებით გამზადებული პროდუქციის მოწოდება. ჯგუფის სპეციალისტები ყოველთვის მზად არიან, გაუწიონ მომხმარებელს კონსულტაცია ნებისმიერი სახის პროდუქტთან დაკავშირებით.

ჯგუფი ასევე მომხმარებელს სთავაზობს ნებისმიერი სირთულის საინჟინრო სისტემების პროექტირებასა და მონტაჟს, მომსახურების სრულ პაკეტს საგარანტიო პერიოდის მანძილზე და უფასო საგანგებო, სატელეფონო კონსულტაციას 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე.

ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფი ცდილობს გათბობის, გაგრილების, ვენტილაციისა და წყალგაყვანილობის სფეროში განვითარების პროცესს არ ჩამორჩეს, ამიტომაც ის მუდმივად ეძებს სანდო და საიმედო პარტნიორებს და ამყარებს მათთან მჭიდრო საქმიან ურთიერთობას, რის ხარჯზეც ავითარებს თავის ბიზნესს, მათთან ერთად ჰქმნის ენერგოეფექტურ და საიმედო საინჟინრო ასორტიმენტს.

კვალიფიციური ცოდნის, პროფესიული გამოცდილების, კეთილსინდისიერი სერვისის მეშვეობით ზრუნავს, რომ ორგანიზაციაში შეძენილი პროდუქცია მომხმარებელს მრავალი წლის განმავლობაში უქმნიდეს ჯანსაღ და კომფორტულ გარემოს. ჯგუფის მიზანია არსებული შემოსავლის ზრდა და გაფართოება, რომელსაც ზემო ხსენებული განვითარების ფაქტორებით ახერხებს. გათბობის, გაგრილების, ვენტილაციის და წყალგაყვანილობის ბაზარზე დიდ ზეგავლენას ახდენს ტექნოლოგიური ინოვაციები. ახალი და მოწინავე პროდუქციის ხაზის შენარჩუნების მიზნით, რომელიც პასუხობს საბაზრო მოთხოვნებს, მუდმივად მიმდინარეობს ბაზარზე ინოვაციების მონიტორინგი. ახალი პროდუქციის გავრცელების მიზნით ხორციელდება საკონტრაქტო შეთანხმებები, მათ შორის, ახალ მწარმოებლებსა და დისტრიბუტორებთან. საცალო ქსელისა და კორპორატიული გაყიდვების პროგრესთან ერთად, ჯგუფი აქტიურად ავითარებს სადილერო გაყიდვების მიმართულებას.

2018 წლიდან ჯგუფმა დაიწყო სადილერო ქსელის ათვისებაც. 2020 წლის ბოლოსთვის, მიღწეული იქნა დასახული მიზანი და ჯგუფის პროდუქცია თბილისის მასშტაბით არსებულ საკვანძო და მნიშვნელოვან მაღაზიათა ქსელში იქნა წარმოდგენილი. ასევე, განხორციელდა ინვესტიცია იმერეთის რეგიონში, კერძოდ ქალაქ ქუთაისში 2023 წლის 29 ივნისს გაიხსნა ახალი ფილიალი, რომელიც მოემსახურება რეგიონის საცალო და კორპორატიულ მომხმარებლებს. 2024 წლის ბოლოსთვის დაიგეგმა და უკვე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები ქალაქ თბილისში გივი ამილახვარის 1-ში მდებარე ფილიალის განახლებასთან დაკავშირებით, სადაც მოეწყობა თანამედროვე შოუ-რუმი, საკონფერენციო/შეხვედრების სივრცეები. აგრეთვე ამ ლოკაციაზე მოეწყობა კომპანიის ახალი სათაო ოფისი.

ჯგუფის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: ჯგუფის მიერ ბაზარზე წარმოდგენილი ბრენდების სიძლიერე, ფართო სპექტრის პროდუქცია სხვადასხვა საბაზრო სეგმენტში, მენეჯმენტი და გამოცდილი გაყიდვების პერსონალი, ფინანსური მდგრადობა. ჯგუფის განვითარების წინაპირობები:

1. ბრენდული პროდუქციის იმპორტის უფლებები - პოპულარული ბრენდული საბაზრო პროდუქციის იმპორტირების ექსკლუზიური უფლება.

შპს „თერმოინდუსტრია“

მმართველობითი ანგარიშგება 2023

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მართვის, კონტროლისა და ლოჯისტიკის სრულფასოვანი სისტემის შენარჩუნება, რომელსაც შეუძლია მართოს, გაუწიოს კოორდინირება და ეფექტური ზედამხედველობა საქონლის იმპორტს, შენახვასა და საცალო გაყიდვებს;
3. ჯგუფის ყველა ტიპის საგარანტიო პროდუქციაზე საიმედო და ხელმისაწვდომი მომსახურებების და შეკეთების ორგანიზებული სისტემის მართვა;
4. პროდუქციისა და მოდელის ასორტიმენტი - მომხმარებელთათვის ფართო ნომენკლატურის პროდუქციის შეთავაზება, მათ შორის ცნობილი, სანდო მწარმოებლების, ისევე როგორც ნაკლებად ცნობილი მწარმოებლების ბრენდირებული ან არაბრენდირებული პროდუქციის შეთავაზება. ამავდროულად პროდუქციის ხელმისაწვდომობის მაღალ დონეზე შენარჩუნება და მომხმარებელთა მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება;
5. დაფარვა ქვეყნის მასშტაბით - იყოს წარმოდგენილი ყველა დიდ ქალაქსა და რეგიონულ ცენტრში.

ბიზნეს მოდელი: ზოგადი გარემო და გარე ფაქტორების ზემოქმედება ჯგუფის ოპერაციებზე ძირითადი ფაქტორები მაკროეკონომიკურ გარემოში, რომლებსაც გააჩნიათ ან შეიძლება იქონიონ გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე არის: ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში - საქართველოს ეკონომიკა პირდაპირ გავლენას ახდენს ჯგუფის ოპერაციებზე.

ქვეყანაში მომხდარმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ქცევაზე და, შესაბამისად, იმოქმედონ პროდუქციაზე მოთხოვნის დონეზე. როდესაც საქართველოს ეკონომიკა განიცდის რეცესიას, როგორც წესი, კლებულობს მომხმარებლების მხრიდან მოთხოვნა ელექტრო საქონელზე და აქცენტირება გადადის ძირითადი მოხმარების საქონელზე, რაც შედარებით იაფია.

გაცვლითი კურსის ცვლილება - ჯგუფის ძირითადი ოპერაციები მიმდინარეობს იმპორტირებულ საქონელზე, რომელთა შემენაც ხდება უცხოურ ვალუტაში (ძირითადად აშშ დოლარში), მაშინ როდესაც ამ საქონლის გაყიდვა მომხმარებლებზე ხდება ლარში. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა უცხოური ვალუტის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება გავლენას ახდენს მომხმარებელთა მოთხოვნაზე, რაც შემდგომ აისახება ოპერაციულ შედეგებზე.

ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების შესახებ 2023 წლისთვის

«შპს თერმოინდუსტრია» მაღაზიათა ქსელი 8 ფილიალს შეადგენს თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში. «შპს თერმოინდუსტრია» მაღაზიები წარმოდგენილია შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ქუთაისი, ხელვაჩაური.

კომპანიის მაღაზიების მისამართები: თბილისი - აკაკი ბელიაშვილის ქ. N108 და გივი ამილახვარის ქ. 1, ბათუმი - ჯავახიშვილის ქ. 32/34 და ერისთავის ქ. 2, ფოთი - ჭანტურიას 12, ზუგდიდი - მეუნარგიას 12, ქუთაისი - ნიკეას ქ. 12, ხელვაჩაური - წინსვლა მე-2 ქუჩა N 15

შვილობილი კომპანია, შპს ჰელიო წარმოდგენილი იყო მხოლოდ თბილისში, ერთი ფილიალით. შპს თერმოინდუსტრიამ გადაწყვიტა აღნიშნულ კომპანიაში საკუთრი წილის გაყიდვა - 2023 წლის 22 სექტემბერს მან გაასხვისა საკუთრი 70% წილი შპს ჰელიოში. აღნიშნული ტრანზაქციის ფარგლებში მიღებულ შემოსავლებს კომპანია მიმართავს ბიზნეს საქმიანობის ახალი მიმართულებების და პროდუქტების განსავითარებლად.

რისკ ფაქტორები

- **ფინანსური რისკები** - ფინანსურ რისკებში შეიძლება შედიოდეს: ლარის გაცვლითი კურსის რყევა დოლარისა და ევროს მიმართ, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, ინფლაციის ზემოქმედება და ა.შ.
- **მარაგების დეფიციტი** - დარგი დამოკიდებულია მომწოდებლებზე. მომწოდებლის მიზეზით შექმნილმა მარაგების დეფიციტმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის შედეგებზე.

- **პრობლემები მარაგებთან დაკავშირებით** - მარაგების შესყიდვა დამოკიდებულია გაყიდვების მიზნებზე; შეკვეთებში არსებულმა შეცდომებმა შესაძლოა გამოიწვიოს მარაგების სიჭარბე (ჭარბი ხარჯები) ან მარაგების სიმწირე (შემოსავლის დაკარგვა).
- **პროდუქციის ტექნიკური გაუმართაობა** - ჯგუფის მიერ იმპორტირებული პროდუქციის დაგეგმვის ან/და წარმოების ტექნიკურმა ხარვეზმა შესაძლოა გავლენა იქონიოს მომხმარებელთათვის მიწოდებულ მთელ რიგ პროდუქციაზე. ამან შეიძლება გაზარდოს ჯგუფის მიერ გარანტიაზე და შეკვეთებაზე გაწეული ხარჯები და დაზიაროს ჯგუფის, ისევე როგორც მის მიერ იმპორტირებული ბრენდისა და საქონლის რეპუტაციას.
- **სახელშეკრულებო შეთანხმებები** - სახელშეკრულებო შეთანხმებები ზოგიერთ მომწოდებელთან, რომლებიდანაც ჯგუფი ახდენს პროდუქციის იმპორტს, რაც არაა ასახული ხელშეკრულებაში წერილობითი ფორმით. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის საქმიანი ურთიერთობები კონკრეტულ მომწოდებლებთან შეიძლება იყოს კარგი, მწარმოებლებმა შესაძლოა გადაწყვიტონ ჯგუფთან ზოგიერთი ან ყველა სახელშეკრულებო შეთანხმების გაწყვეტა.
- **კონკურენცია** - აღნიშნულ სფეროში არსებული მძაფრი და უწყვეტი კონკურენცია შესაძლოა უარყოფითად აისახოს ფასებზე და აქედან გამომდინარე ჯგუფის რენტაბელობაზეც.
- **ჯგუფის გაყიდვებზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის შენელებამ.** მოსახლეობის შემცირება - ბოლო წლებში ფიქსირდება მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, შესაბამისად, გადაანგარიშების შედეგად გაიზარდა მშპ ერთ სულ მოსახლეზე. სამომავლოდ, მოსახლეობის შემცირებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე.

სოციალური და დაქირავებულებთან დაკავშირებული საკითხები

დასაქმებულთა ქცევა, შრომა, მომხმარებელთან და ერთმანეთთან ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსით, ორგანიზაციის შინაგანაწესით და სხვა შიდა ნორმატიული დოკუმენტებით. ორგანიზაცია დამატებით უზრუნველყოფს თანამშრომლების დაზღვევას და სხვადასხვა მამოტივირებელ აქტივობებს. შუა რგოლის მენეჯერებთან ერთად, წინასწარ შეთანხმებული პერიოდულობით ხდება თანამშრომელთა შესრულებული სამუშაოს შეფასება და მიღებული შედეგებზე დაყრდნობით შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა. აქტიურად გამოიყენება, როგორც წახალისების პროცედურები, ასევე დისციპლინარული სანქციონება.

ზეგავლენის მაჩვენებელი:

- რისკ ფაქტორები მაღალი
- სახელშეკრულებო შეთანხმებები მაღალი
- კონკურენცია მაღალი
- ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში მაღალი
- ფინანსური რისკები საშუალო
- პრობლემები მარაგებთან დაკავშირებით დაბალი
- პროდუქციის ტექნიკური გაუმართაობა

დასაქმებული ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები, შინაგანაწესით თუ სხვა შიდა ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები. მისი დარღვევის შემთხვევაში დასაქმებულს შესაძლოა დაეკისროს დისციპლინარული პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები:

- გაფრთხილება.
- საყვედური.
- სასტიკი საყვედური.
- ფულადი სანქცია.
- სამსახურიდან გათავისუფლება.

შპს „თერმოინდუსტრია“

მმართველობითი ანგარიშგება 2023

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ყველა ზემოთ აღნიშნული დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება დასაბუთებული უნდა იყოს წერილობით. დასაქმებულთა წახალისება ხდება სამუშაოს შესრულების პროცესში მოპოვებული წარმატებისათვის. შეიძლება გამოიყენებულ იქნას წახალისების შემდეგი სახეობები:

- მადლობის გამოცხადება;
- თვის/წლის საუკეთესო თანამშრომლის წოდება;
- მატერიალური წახალისება (დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება, ერთჯერადი პრემია, ხელფასის მატება)
- პოზიციური დაწინაურება.

დასაქმებულის მიერ მოპოვებული წარმატებისათვის თუ აღმოჩენილი დარღვევის შესახებ გასატარებელი დისციპლინარული საკციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი, ინიციატორის მიერ მიწოდებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. დადებითი გადაწყვეტილება ფორმდება წერილობითი ბრძანებით. სტრუქტურა და საშტატო განრიგი ორგანიზაციის სტრუქტურას და საშტატო განრიგს ამტკიცებს დირექტორი. საშტატო განრიგსა თუ სტრუქტურაში ნებისმიერი ცვლილების ინიცირებას ახდენს იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც უნდა შეეხოს ცვლილება და ამტკიცებს გენერალური დირექტორი. დაუშვებელია იმაზე მეტი თანამშრომლის აყვანა, ვიდრე ეს ჯგუფის საშტატო განრიგითა და სტრუქტურით არის განსაზღვრული.

ახალი საშტატო ერთეულის შექმნის, ან საშტატო ერთეულის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

- სამუშაოს მოცულობის ცვლილება (ზრდა/შემცირება);
- ფუნქციური ცვლილება სტრუქტურულ ერთეულში (ახალი ფუნქციის გაჩენა, ან/და ძველის გაქრობა);
- ტექნოლოგიური სიახლის დანერგვა სტრუქტურულ ერთეულში;
- რეორგანიზაცია.

საშტატო განრიგში ან/და სტრუქტურაში ცვლილებისას, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ინიციატივა უნდა იყოს დასაბუთებული წერილობით.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საქმიანობის გაფართოებასთან და პროცესების დახვეწასთან ერთად, ყოველწლიურად იზრდება ჯგუფის შემოსავლები და დასაქმებულთა რაოდენობა. საქმიანობის სრულყოფილად მართვისა და კონტროლის მიზნით, ჯგუფში დანერგილია სპეციალური ე.წ. ERP სისტემა „1C ERP 8.3“, რომელიც მოიცავს არა მარტო ფინანსურ მოდულებს არამედ, ჯგუფში მართვისთვის საჭირო ისეთ მოდულებსაც როგორცაა მაგ. ადამიანური რესურსების მართვა და ა.შ. ამასთან 2023 წლის ბოლოს ჩატარდა ახალი ERP პროგრამული უზრუნველყოფის ERP SOLUTIONS, EDITION 1.6 და აგრეთვე CRM პროგრამა BITRIX24 დანერგვა, რომლებმაც კიდევ უფრო უნდა გააუმჯობესოს ჯგუფში აღრიცხვიანობის, მმართველობითი და ადმინისტრირების პროცესები.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ჯგუფის 2023 და 2022 წლების ფინანსური მონაცემები:

	2023	2022
შემოსავალი	31,255,594	34,480,228
საოპერაციო მოგება	3,224,153	5,501,144
სულ აქტივები	20,917,817	18,274,666
სულ კაპიტალი	11,897,650	10,969,768
სულ ვალდებულებები	9,020,167	7,304,898

შპს „თერმოინდუსტრია“


მმართველობითი ანგარიშგება 2023

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჯგუფის ფინანსური კოეფიციენტები 2023 და 2022 წლების მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:


	2023	2022
წმინდა მოგების მარჟა	12.6%	16.2%
მთლიანი მოგების მარჟა	31.3%	32.7%
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	235.6%	390.2%
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	79.8%	129.7%
უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე (ROE)	33.0%	50.8%
უკუგება აქტივებზე (ROA)	18.8%	30.5%

მოგების მარჟა - მარჟა, რომელიც განსაზღვრავს რამდენად მომგებიანია კომპანია საკუთარი პროდუქტისა და მომსახურების რეალიზაციის ჭრილში.




მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი - ზომავს კომპანიის უნარს მიმდინარე აქტივებით გადაიხადოს მიმდინარე ვალდებულებები. რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, უკეთესია ორგანიზაციის ლიკვიდურობის პოზიცია. ჯგუფს ამ მხრივ საკმაოდ კარგი მაჩვენებელი აქვს ორივე წელს.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი - ზომავს კომპანიის შესაძლებლობას დააკმაყოფილოს მოკლევადიანი ვალდებულებები ყველაზე ლიკვიდური აქტივებით. როგორც მონაცემებიდან ჩანს ორივე კოეფიციენტი საკმაოდ კარგ მაჩვენებელზეა 2023 და 2022 წელს, რაც ამყარებს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას.



უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე - არის ფინანსური კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის მიერ მიღებულ უკუგებას ინვესტირებული კაპიტალის თითოეულ ერთეულზე. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით მეტია თითოეული ერთეული გამოყენებული კაპიტალის მიერ გამომუშავებული მოგება და, შესაბამისად, მით უფრო ეფექტიანად იყენებს კომპანია კაპიტალში დაბანდებულ რესურსებს.

უკუგება აქტივებზე - არის ფინანსური კოეფიციენტი, რომელიც ზომავს ბიზნესის მომგებიანობას მის მთლიან აქტივებთან მიმართებაში. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით მეტია თითოეული ერთეული გამოყენებული აქტივის მიერ გამომუშავებული მოგება და, შესაბამისად, მით უფრო ეფექტიანად იყენებს კომპანია აქტივებში დაბანდებულ რესურსებს.



ჯგუფის აქტივების 19.2% დაფინანსებულია საქართველოს ბანკის გრძელვადიანი კრედიტებით, რომლის დადგენილ კოფენანტებსაც კომპანია იცავს სტაბილურად.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
ლევან თურმანიძე

ფინანსური დირექტორი
კონსტანტინე კაკულია

თბილისი, საქართველო
30 სექტემბერი 2024

შპს „თერმოინდუსტრია“


მმართველობითი ანგარიშგება 2023

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე - არის ფინანსური კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის მიერ მიღებულ უკუგებას ირვესტირებულ კაპიტალის თითოეულ ერთეულზე, რაც უფრო მაღალია, ეს მაჩვენებელი, მით მეტია თითოეული ერთეული განთავსებული კაპიტალის მიერ გამოძღვებული მოგება და შესაბამისად, მით უფრო ეფექტიანად იყენებს კომპანია კაპიტალში დაბანდებულ რესურსებს.

უკუგება აქტივებზე - არის ფინანსური კოეფიციენტი, რომელიც ზომავს ბიზნესის მომგებიანობას მის მთლიან აქტივებთან მიმართებაში, რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით მეტია თითოეული ერთეული განთავსებული აქტივის მიერ განთავსებული მოგება და შესაბამისად, მით უფრო ეფექტიანად იყენებს კომპანია აქტივებში დაბანდებულ რესურსებს.



ჯგუფის აქტივების 19.2% დაფინანსებულია საქართველოს ბანკის კრედიტადიანი კრედიტებით, რომლის დადგენილ კოვენანტებსაც კომპანია იცავს სტაბილურად.

დამტკიცებულია გამოსაძვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
ლევან იოლმანიძე

ფინანსური დირექტორი
კონსტანტინე კაკულია

თბილისი, საქართველო
30 სექტემბერი 2024

